



იოსებ ზუაჩიძის დაბადების 110-ე წლისთავისათვის

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, იოსებ მოსეს ძე ზუაჩიძე, იმ ღვაწლმოსილ პიროვნებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანა ქართული გეოლოგიური მეცნიერების განვითარებაში.

იგი დაიბადა 1907 წლის 2 სექტემბერს ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის სოფელ ფარცხნალში. ამ პატრიარქალურ ოჯახში ბატონმა მოსე ზუაჩიძემ ბავშვობიდანვე შეაყვარა შრომა თავის შვილებს და ასწავალა ადამიანების პატივისცემა და სიყვარული.

პირველდაწყებითი განათლება იოსებ ზუაჩიძემ ხარაგაულის ორწლიან სკოლასა და ქუთაისის რეალურ სასწავლებელში მიიღო, ხოლო საშუალო განათლება-ზესტაფონის ჰუმანიტარულ ტექნიკუმში. 1929 წელს ბატონმა იოსებმა სწავლა განაგრძო ამიერკავკასიის სამთო-მეტალურგიული ინსტიტუტის გეოლოგიურ ფაკულტეტზე. სწავლის პერიოდში ბატონ იოსებს გეოლოგიურ დისციპლინებში ლექციებს უკითხავდნენ ქართული გეოლოგიური სკოლის ფუძემდებლები, აკადემიკოსები, ალექსანდრე ჯანელიძე და ალექსანდრე თვალჭრელიძე, პროფ. კალისტრატე გაბუნია და სხვები, რომელთა საქმის ღირსეული გამგრძელებელი ახალგაზრდა მეცნიერი, იოსებ ზუაჩიძე, გახდა. ინსტიტუტის წარმატებით დამთავრების შემდეგ, იოსებ ზუაჩიძე აკადემიკოს ალ. ჯანელიძის რეკომენდაციით გაიგზავნა “აჭარისწყალქვის” მშენებლობაზე მთავარი გეოლოგის თანამდებობაზე, სადაც მან ოპერატიულად გადაწყვიტა გაჭიანურებული მშენებლობის საინჟინრო-გეოლოგიური პრობლემები, რომლის შესწავლა მშენებლობის პარალელურად მიმდინარეობდა.

ძირულის კრისტალური მასივის ჰიდროგეოლოგიური პირობების კვლევისას, ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში, იოსებ ზუაჩიძემ შეადგინა მდ. ძირულას აუზის ჰიდროგეოლოგიური რუკა და აღმოაჩინა ტუტე-ნახშირორჟანგიანი მინერალური წყალი,

რომელსაც “ზვარე” უწოდა. მის ბაზაზე კი შეიქმნა მინერალური წყლის ჩამომსხმელი ქარხანა, რომელიც ბოლო დრომდე ფუნქციონირებდა.

საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს ჰიდროგეოლოგიური ექსპედიციის მიერ, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ი. ბუაჩიძის ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით ჩატარებული ფართომასშტაბიანი საძიებო ჰიდროგეოლოგიური კვლევების შედეგად მიღებულმა ინფორმაციამ და გეოლოგიური მასალი მეცნიერულმა განზოგადებამ ი. ბუაჩიძეს საშუალება მისცა გაეკეთებინა ზოგადი დასკვნა საქართველოში არტეზიული აუზების შესახებ. 1948 წ. მნიშვნელოვანი თეორიული დებულების საფუძველზე, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, მან გამოყო 16 არტეზიული აუზი და თავისი მრავალწლიანი ჰიდროგეოლოგიური კვლევები შეაჯამა მონოგრაფიაში “საქართველოს მიწისქვეშა წყლები” და აღნიშნულ თემაზე წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოზე. როგორც პირველი დოქტორი საქართველოს ჰიდროგეოლოგიურ მეცნიერებაში, იგი სათავეში ჩაუდგა ქართველ ჰიდროგეოლოგებს და ჩამოაყალიბა ეროვნული ჰიდროგეოლოგიური სკოლა.

იოსებ ბუაჩიძის მეცნიერული დასკვნები და ჰიდროგეოლოგიური პროგნოზების სისწორე შემდგომმა საკვლევ-საძიებო სამუშაოებმა სავსებით დაადასტურა - მათ შორის, პროგნოზი ბორჯომის რთული აგებულების ჰიდროგეოლოგიურ სტრუქტურაში ნახშირორჟანგიანი სოდიანი ტიპის სამკურნალო-მინერალური წყლის რესურსების დიდი რაოდენობით გაზრდის შესაძლებლობის შესახებ.

საინჟინრო-გეოლოგიური განყოფილების გამგედ მუშაობის ოთხი წელი. ამ ხნის განმავლობაში მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით ჩატარდა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები ჰიდროელექტროსადგურებისა და სხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობების სამომავლო პროექტირებისათვის. ქართველმა მეცნიერმა დიდი წვლილი შეიტანა არამარტო თავისი ქვეყნის, არამედ ამიერკავკასიის რეგიონის ჰიდროელექტროსადგურების პროექტების დამუშავებისა და მათი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევებით უზრუნველყოფის საქმეში.

ი. ბუაჩიძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა სახელმწიფო მნიშვნელობის ყველა საინჟინრო პროექტის განხორციელებაში. მისი მეცნიერული ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით ფართო სამუშაოები ჩატარდა თბილისის მეტროპოლიტენის, ენგურჰესისა და მიერკავკასიის რეგიონის ჰიდროელექტროსადგურების პროექტების მშენებლობის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესასწავლად. შედგენილი საინჟინრო-გეოლოგიური რუკები, ჭრილები და რეკომენდაციები საფუძვლად დაედო ამ უნიკალური ნაგებობების მშენებლობას. თავის მოწაფეებთან ერთად, იგი განსაკუთრებული გატაცებით მუშაობდა შავი ზღვის აღმოსავლეთი ნაწილის წყალქვეშა ფერდობის საინჟინრო-გეოლოგიური შესწავლის სფეროში, მან ამ დარგში ჩატარებული კვლევებით, პრაქტიკულად, სათავე დაუდო საქართველოში ახალ მეცნიერულ მიმართულებას – საზღვაო-საინჟინრო გეოლოგიას.

ვასდაუდებელია ი. ბუაჩიძის მიერ გაწეული ღვაწლი ქართული მეცნიერებისა და განათლების სისტემის სრულყოფის საქმეში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მოღვაწეობა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც იგი ჩამოყალიბდა როგორც დიდი მეცნიერი, ახალგაზრდა სპეციალისტების დაულალავი აღმზრდელი და უმაღლესი განათლებისა და მეცნიერული საქმის შესანიშნავი ორგანიზატორი. მას შემდეგ, რაც გამოყენებითი გეოლოგიის კათედრას გამოეყო და ცალკე კათედრად ჩამოყალიბდა ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის კათედრა, რომლის გამგედ არჩეული იქნა ბატონი იოსები. იგი მისთვის დამახასიათებელი ენერგიით შეუდგა კათედრის ახალი კადრებით დაკომპლექტებას და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფას.

ი. ბუაჩიძის თავდადებულმა შრომამ კეთილი ნაყოფი გამოიღო – კათედრა გადაიქცა მაღალკვალიფიციური კადრების სამჭედლოდ და საქართველოში ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების მაკორდინებელო სამეცნიერო ცენტრად.

1958-1973 წლებში, სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად, პროფ. ი. ბუაჩიძე ჩვეული ენთუზიაზმით უძღვებოდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორის მოვალეობას. ამ პერიოდში ინსტიტუტის მრავალათასიანმა სამეცნიერო

პედაგოგიურმა და ინჟინერ-ტექნიკურმა პერსონალმა ი. ბუაჩიძის თაოსნობით უდიდესი რეფორმები განახორციელა. ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად, ი. ბუაჩიძე ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ სფეროში. იგი არჩეული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს რამდენიმე მოწვევის დეპუტატად და ხელმძღვანელობდა განათლებისა და მეცნიერების მუდმივ კომისიას.

ი. ბუაჩიძის მიერ ჩამოყალიბებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო-გეოლოგიის სექტორი დღესაც ფუნქციონირებს, როგორც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შემადგენლობაში არსებული ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის დამოუკიდებელი ინსტიტუტი, რომელიც დაუღალავად იღწვის იოსებ ბუაჩიძის მიერ საქართველოში დაფუძნებული სამეცნიერო დარგების განვითარებისათვის და თავისი საქმიანობით პატივს მიაგებს ამ დიდი მეცნიერის და ორგანიზატორის უკვდავ ხსოვნას.

ინსტიტუტის დირექტორი,

გეოლოგია-მინერალოგიის აკადემიური დოქტორი,

პროფ. ზურაბ კაკულია